



საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

ბრძანება

თბილისი



MES 1 20 00372819



13/05/2020

„კულტურის ხელშეწყობის პროგრამის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 31 დეკემბრის N2027 ბრძანებით დამტკიცებული „კულტურის ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში კონკურსის „პროფესიული თეატრების შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობა“ საკონკურსო დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 19 თებერვლის N213 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის საფუძველზე და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის 2020 წლის 08 მაისის N366823 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. შევიდეს ცვლილება „კულტურის ხელშეწყობის პროგრამის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 31 დეკემბრის N2027 ბრძანებით დამტკიცებული „კულტურის ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში კონკურსის „პროფესიული თეატრების შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობა“ საკონკურსო დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 19 თებერვლის N213 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „კულტურის ხელშეწყობის პროგრამის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 31 დეკემბრის N2027 ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „კულტურის ხელშეწყობის პროგრამის“ (პროგრამული კოდი: 32 09 02)

პრიორიტეტის „ქართული პროფესიული თეატრალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა“ ფარგლებში ჩასატარებელი კონკურსის „პროფესიული თეატრების შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობა“ საკონკურსო დებულება, ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართის შესაბამისად;

2. დაევალოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტს ამ ბრძანების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოქვეყნება ოფიციალურ ვებგვერდზე;

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., N6).

საქართველოს განათლების, მეცნიერების,
კულტურისა და სპორტის მინისტრი
მიხეილ ჩხენკელი

